ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „ქუთაისი: ინტეგრირებული ტრანსფორმაცია მდგრადი განვითარებისთვის“ ლოგოს კონკურსის ჩატარების წესი და პირობები

1. ზოგადი ინფორმაცია

ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია ახორციელებს ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ პროექტს „ქუთაისი: ინტეგრირებული ტრანსფორმაცია მდგრადი განვითარებისთვის“. პროექტის ზოგადი მიზანია ქუთაისის გადაქცევა კარგ საცხოვრებელ და საინვესტიციო ქალაქად. კონკრეტულად კი ქუთაისის, იმერეთის დანარჩენი, გურიის და რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მუნიციპალიტეტებში შეაძლებლობის შექმნა ეფექტიანი წვლილის შესატანად ინტეგრირებულ ტერიტორიულ განვითარებაში მაღალი ხარისხის საჯარო სერვისებით, მათი პოტენციალის, კომპეტენციებისა და ანგარიშვალდებულობის გაზრდით. პროექტი ეხმარება ქუთაისის მუნიციპალიტეტს შექმნას პირობები ქალაქში სოციალური ინკლუზიურობის, ბიზნესის განვითარებისა და შემოსავლის მისაღებად.

2. კონკურსში მონაწილეობის უფლება:

2.1. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ნებისმიერ დაინტერესებულ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, გარდა ქუთაისის მუნიციპალიტეტის და მის დაქვემდებარებაში არსებული იურიდიული პირების თანამშრომლებისა.

3. ლოგოს მიზანი:

3.1. პროექტის ლოგოს მიზანია პროექტის ხილვადობისა და ცნობადობის გაზრდა.

4. მოთხოვნები ლოგოსადმი:

4.1. ლოგო უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებსა და მოთხოვნებს:

ა. იყოს ვიზუალურად მიმზიდველი, ადვილად აღქმადი, დასამახსოვრებელი, მარტივი, ნათელი, ლაკონური და უნიკალური, თანამედროვე დიზაინით.

ბ. არ არღვევდეს არავის საავტორო უფლებებს ან სავაჭრო ნიშნებს.

გ. არ შეიცავდეს შეურაცხმყოფელ, დისკრიმინაციულ ან შეუსაბამო შინაარსს.

დ. იყოს უმეტესად ერთფერიანი გამოსახულება (ფერის ცვლილება შესაძლებელია სამუშაო განხილვის დროს).

ე. წარმოადგენდეს შემდეგ თემებს: ინტეგრირებული ტერიტორიული განვითარება, მდგრადობა და საზოგადოების ჩართულობა.

ვ. ასახავდეს პროექტის მიზნებს.
ზ. შეიცავდეს პროექტის სახელს ქართულად და ინგლისურად ან მათ შემოკლებულ ვერსიებს (შესაძლებელი უნდა იყოს ლოგოს წარწერის გარეშე გამოყენებაც):
ზ.ა. „ქუთაისი: ინტეგრირებული ტრანსფორმაცია მდგრადი განვითარებისთვის“
ზ.ბ. Kutaisi: Integrated Transformation for Sustainable Development.

5. **ლოგოს ფორმატი:**

5.1. ლოგო უნდა იყოს მაღალი გარჩევადობის. წარმოდგენილი უნდა იქნეს მასშტაბირებადი ფორმატით, შესაძლებელი უნდა იყოს მისი ციფრულ ფორმატში და ბეჭდურ მასალებზე გამოყენება, მათ შორის ვებგვერდის, პრეზენტაციის, ბეჭდვა ბანერზე, ბილბორდზე, პასტასა და A5 ფორმატის ბლოკნოტზე ბეჭვდისთვის. კერძოდ, ლოგო წარმოდგენილი უნდა იქნეს როგორც JPG ფაილის სახით, ისევე შემდეგ ფორმატებში: AI (Adobe Illustrator), EPS (Encapsulated PostScript), PDF (Portable Document Format), და SVG (Scalable Vector Graphics).

6. **ლოგოს ნიმუშების წარმოდგენა:**

6.1. კონკურსანტმა ნამუშევარი უნდა გამოაგზავნოს ელექტრონულ მისამართზე: contact@kutaisi.gov.ge, ხოლო მეილის დასახელებაში მიუთითოს კონკურსის სახელწოდება: “პროექტის ლოგოს შემუშავება”.

6.2. თუ 2 სამუშაო დღის განმავლობაში კონკურსანტი ვერ მიიღებს დამადასტურებელ წერილს ფაილის მიღების თაობაზე, ე.ი. მისი წერილი ადრესატამდე არ მისულა.

6.3. კონკურსანტი ვალდებულია წარმოადგინოს:
ა. ინფორმაცია კონკურსანტის შესახებ: სახელი, გვარი, იურიდიული მისამართი, პირადი ნომერი ან რეგისტრაციის კოდი, საბანკო ანგარიში.
ბ. ლოგო.
გ. ლოგოს აღწერილობა, ლოგოს ზომები, გამოყენების წესები.
დ. დასკანერებული ხელმოწერილი წერილი, რომლითაც ადასტურებს, რომ წარმოდგენილი ლოგო არ არღვევდეს არავის საავტორო უფლებებს ან სავაჭრო ნიშნებს და არის უნიკალური.

6.4. ერთი კონკურსანტის მიერ დასაშვებია არაუმეტეს სამი ნამუშევრის წარდგენა შესაფასებლად.

6.5. შეფასებისას ანონიმურობის უზრუნველსაყოფად, „ლოგო“-ს და „ლოგოს აღწერილობა, ლოგოს ზომები, გამოყენების წესები“-ის ფაილები წარმოდგენილი უნდა იყოს ისე რომ მას სახელად ერქვას წარმომადგენის პირადი ნომერი/რეგისტრაციის კოდი და წარმოდგენილი ნამუშევრის ნომერი. მაგალითად,

00000000001_#3. ფაილში არ უნდა იყოს წარმომადგენის სახელი ან მისი ამომცნობი რაიმე ნიშანი.

6.6. საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე.

6.7. დამატებითი ინფორმაციისთვის გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ +995 577 34 50 00.

7. წარდგენის ვადა:

7.1. კონკურსანტმა ნამუშევრი უნდა წარმოადგინოს არა უგვიანეს 2023 წლის 10 აპრილის 18:00 საათისა. დაგვიანებით გამოგზავნილი ნამუშევრი აღარ მიიღება.

8. გამარჯვებულის გამოვლენა:

8.1. კონკურსის გამარჯვებულები გამოვლინდება სპეციალური საკონკურსო კომისიის მიერ, საკონკურსო წინადადებების მიღების დასრულებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში.

8.2. საკონკურსო კომისია, ნამუშევრებს შეაფასებს ვიზუალური და შინაარსობრივი კრიტერიუმების მიხედვით.

8.3. კომისია საუკეთესო ნამუშევარს გამოავლენს კონფიდენციალური შეფასების გზით, კონსესუსის პრინციპით.

8.4. კომისია გამარჯვებულად გამოავლენს სამ საუკეთესო ნამუშევარს, რომელთაც მიენიჭებათ პირველი, მეორე და მესამე ადგილები.

8.5. კონკურსის გამომცხადებელი იტოვებს უფლებას არ გამოავლინოს გამარჯვებული, ასევე უფლება აქვს კონკურსის მიმდინარეობის ეტაპზე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს კონკურსი, თუ ეს აუცილებელი გახდება მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზებით.

8.6. მასალა, რომლის წარმომდგენიც მიიღებს ჰონორარს, ხდება მუნიციპალიტეტის საკუთრება და იგი შეიძლება გამოყენებულ იქნას მის მიერ ნებისმიერი მიზნისათვის. მუნიციპალიტეტს უფლება აქვს მოსთხოვოს კონკურსში გამარჯვებულს წარმოდგენილ ლოგოს დიზაინში ტექნიკური ხასიათის ცვლილების განხორციელება, რაც დაკმაყოფილებული უნდა იქნეს წარმომდგენის მიერ.

9. საპრიზო თანხა:

9.1. გამარჯვებული დიზაინის ავტორი მიიღებს ჰონორარს 500 ევროს ეკვივალენტს ლარებში, მეორე ადგილზე გასული დიზაინის - 250, ხოლო მესამე ადგილზე გასულის 150 ევროს ევროს ეკვივალენტს ლარებში.

9.2. ერთმა კონკურსანტმა შეიძლება წარმოადგინოს რამოდენიმე რამოდენიმე ნიმუში და მიიღოს რამდენიმე ჰონორარი.

9.3. თანხები მოიცავს საქართველოში მოქმედ ყველა გასახადსა და გადასახდელს.

10. შეფასების კრიტერიუმები

10.1. წარმოდგენილი წინადადებების შეფასება მოხდება ორ ეტაპად.

10.2. პირველ ეტაპზე შეფასდება:

ა. წარმოდგენილია თუ არა ყველა მოთხოვნილი დოკუმენტაცია სრულად:

ა.ა. ინფორმაცია კონკურსანტის შესახებ

ა.ბ. ლოგო და ლოგოს აღწერილობა, ისე როგორც ეს მოთხოვნილია წინამდებარე დოკუმენტით.

ა.გ. კონკურსანტის მიერ ხელმოწერილი წერილი, რომლითაც ადასტურებს, რომ წარმოდგენილი ლოგო არ არღვევს არავის საავტორო უფლებებს ან სავაჭრო ნიშნებს და არის უნიკალური.

ბ. არის თუ არა ლოგო თავისუფალი შეურაცხმყოფელი, დისკრიმინაციული ან შეუსაბამო შინაარსისგან.

გ. არის თუ არა ლოგო უმეტესად ერთფერიანი.

დ. შეიცავდეს ლოგო პროექტის სახელს ქართულად და ინგლისურად ან/და მათ შემოკლებულ ვერსიებს.

10.3. მეორე ეტაპზე ქულებით შეფასდება ის წინადადებები, რომლებიც 10.2 პუნქტში დასმულ ყველაზე შეკითხვაზე მიიღებენ დადებით პასუხს. მათ შესაფასებლად გამოყენებული იქნება შემდეგი კრიტერიუმები:

ა. პროექტის მიზნებთან და გზავნილებთან შესაბამისობა (მაქსიმალური ქულა: 25).

ბ. ინტეგრირებულ ტერიტორიულ განვითარებასთან, მდგრადობასა და საზოგადოების ჩართულობასთან შესაბამისობა (მაქსიმალური ქულა: 20).

გ. ვიზუალურად მიმზიდველობა (მაქსიმალური ქულა: 20)

დ. ადვილად აღქმადობა და დამახსოვრებადობა (მაქსიმალური ქულა: 10)

ე. ლოგოს დიზაინის კრეატიულობა და ორიგინალურობა (მაქსიმალური ქულა: 10)

ვ. ლოგოს დიზაინის ტექნიკური ხარისხი (მაქსიმალური ქულა: 15)

10.4. თითოეული წინადადების საბოლოო ქულები დაითვლება და შეირჩევა საუკეთესო დიზაინის სამი ლოგო.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი. იოსებ ხახალეიშვილი